სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ მიერ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნანა შარაბიძე
წევრები:
ზაირა ბერიძე
მზია ბაკურიძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ მიერ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა განაცხადი პროფესიული საგანმამათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე: „ კულინარიის ხელოვნება“ მესამე საფეხური.

აღნიშნული პროგრამის დამატებისთვის დაწესებულების მზაობის, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 19 სექტემბრის N844 ბრძანების საფუძველზე(ცვლილებებით: ბრძანება N873,26.09.2018წ.; ბრძანება N965, 29.10.2018წ.) შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ნანა შარაბიძე - ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის თავმჯდომარე;

ზაირა ბერიძე - ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი;

მზია ბაკურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დროულად მიეწოდა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი მასალების სრული პაკეტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი (დანართი1), რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან და დადგენილ ვადაში წინასწარ მიეწოდა დაწესებულებას.

ვიზიტი განხორციელდება 2018 წლის 30-31 ოქტომბერს ქ. ქუთაისში, საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ ბაზაზე.

ვიზიტის პირველი დღე დღის წესრიგის შესაბამისად წარიმართა - ექაპერტთა ჯგუფი შეხვდა კოლეჯის ადმინისტრაციას, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ პერსონალს, სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებს.

ვიზიტის მეორე დღეს განხორციელდა საგანმანათლებლო სივრცეების, მათი ადაპტირების, აღჭურვილობით უზრუნველყოფის გადამოწმება, ასევე ვიზიტი განხორციელდა პრაქტიკის ობიექტებად შერჩეულ საწარმოებში, რომლებთანაც დაწესებულებას გაცნობითი პრაქტიკის და პრაქტიკული პროექტის მიზნებისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა ძირითადი მიგნებები და სავარაუდო რეკომენდაციების მონახაზი გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და პროგრამის ხელმძღვანელს.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

		სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები			**მუხლი 6**	■	☐
1.1		დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

	საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

	საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;			
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	[redacted]	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	[redacted]	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	[redacted]	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	[redacted]	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	[redacted]	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია	**მუხლი 7 /**	[redacted]	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

	პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები	**მუხლი8/ პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

	გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა) ვიზიტის პერიოდში არ დაფიქსირებულა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია 1

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამას, სწავლის შედეგების თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების რეალურ სამუშაო გარემოში განმტკიცების მიზნით, არჩევით მოდულად დაემატოს მოდული „საწარმოო პრაქტიკა“(1.1)

რეკომენდაცია 2

რეკომენდებულია ინფორმაცია იმ პროგრამის შესახებ, რომლის დამატებაც სურს დაწესებულებას, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ მისანიჭებელი კვალიფიკაციის, მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, ანონსის სახით განთავსდეს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და დაწესებულების ვებ გვერდზე (1.2);

რეკომენდაცია 3

სასურველია, დაწესებულებამ შინაგანაწესიდან ამოიღოს ჩანაწერები სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის შესახებ, რადგან ეს ინფორმაცია გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (1.5);

რეკომენდაცია 4

სასურველია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების მისამართზე მოაწყოს საბიბლიოთეკო სივრცე, შეიმუშაოს ელექტონული კატალოგი და ლინკების სახით მითითებული ინტერნეტ რესურსები გადაიტანოს ელ დისკებზე, ასევე გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი - ბიბლიოთეკარი (2.3);

რეკომენდაცია 5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს ვებ გვერდის ცვლილება-განახლება, რათა გაიზარდოს მისი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციები (2.8);

რეკომენდაცია 6

სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და მონიტორინგის მექანიზმების გათვალისწინებით, შეიმუშაოს ახალი სტრატეგიული გეგმა (2.9);

რეკომენდაცია 7

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულებამ განახორციელოს პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება მოდულური პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. (3.2)

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისია

საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერია“ არის ჩვენი საზოგადოების ნაწილი, რომლიც თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას და წინსვლას, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტს უყალიბებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ამზადებს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან კადრს; ეხმარება მაძიებელს პროფესიის სწორად შერჩევაში, შედეგზე ორიენტირებულ სწავლასა და კარიერული განვითარების გზების დაგეგმვაში; განუწყვეტლივ ზრუნავს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევაზე; არის კონკურენტუნარიანი ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ითვისებს ახალი პროფესიებს და ახორციელებს შესაბამის პროგრამებს. საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერია“ დაფუძნებულია უძველეს ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებზე, ევროპული განათლების პრინციპებზე და საზღვარგარეთის მოწინავე კოლეჯებთან ურთიერთობის და მობილობის გზით ხელს უწყობს საქართველოს პროფესიული განათლების ინტეგრაციას მთელ მსოფლიოში.

კოლეჯის ხედვა არის შემდეგი:

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერია“ იყოს ერთ-ერთი დიდი და წარმატებული პროფესიული სასწავლო დაწესებულება საწართველოში. მისი 3 კურსდამთავრებული გახდეს უპირატესი არჩევანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირებას და წარმატებით დამკვიდრებას.

კოლეჯის ღირებულებებია:

გუნდური პრინციპები, პროფესიონალიზმი, ინოვაცია, ღიაობა, სამართლიანობის დაცვა.

სტანდარტების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N28 გადაწყვეტილებით სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,იბერია“ (საიდენტიფიკაციო კოდი 212682051) 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1050 სტუდენტით.
დაწესებულებას სურვილი აქვს მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელების უფლება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ ერთ-ერთი კონცენტრაციის ადაპტირების საფუძველზეა შექმნილი.

საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ უფლებალოსილი პირის - დირექტორის მიერ (ბრძანება №242, 17.08.2018წ.), შედგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით. პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, პროგრამის მოცულობა, სწავლების მეთოდოლოგია და სწავლის შედეგები. პროგრამას თან ერთვის მოდულები, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია, ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთებები.
პროგრამის მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

1. შპს „ასტორია“, გაფორმების თარიღი 10.08.2018 წ. მოქმედების ვადა - 6 წელი;
2. შპს „პაბი“, გაფორმების თარიღი 10.08.2018 წ. მოქმედების ვადა - 6 წელი;
3. შპს „ძველი იმერეთი“, გაფორმების თარიღი 10.08.2018 წ. მოქმედების ვადა - 6 წელი.

ვიზიტის პერიოდში მოხდა აღნიშნული საწარმოების დათვალიერება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტზე არსებობს გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების დროს მათ დაადასტურეს მზადყოფნა სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს სურვილის შემთხვევაში არჩევითი მოდულების დამატებასაც. კერძოდ, ***საწარმოო პრაქტიკის არჩევა შესაძლოა <u>ისეთი პროგრამისთვის, რომლის ფარგლებში სავალდებულო პროფესიული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</u> ამ დროს საწარმოო პრაქტიკა საშუალებას აძლევს სტუდენტს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეძენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო გარემოში განამტკიცოს.***

მიგვაჩნია, რომ რადგან პროგრამა აგებულია ისე, რომ სწავლის შედეგები თითქმის სრულად კოლეჯის სასწავლო გარემოებში მიიღწევა, ამიტომ შესაძლო იყო საგანმანათლებლო პროგრამას დამატებოდა არჩევითი მოდული „საწარმოო პრაქტიკა“, რაც გაამრავალფეროვნებდა პროგრამას.

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამას, სწავლის შედეგების თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების რეალურ სამუშაო გარემოში განმტკიცების მიზნით, არჩევით მოდულად დაემატოს მოდული „საწარმოო პრაქტიკა“.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია ისე, რომ ის ითვალისწინებს მოდულის „პრაქტიკული პროექტი“ სხვა პროფესიული მოდულების პარალელურად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

განხორციელებას და ამასთანავე რამოდენიმე მოდულზე ადრე დასრულებას. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით, მოდულები არ ითვალისწინებს წინაპირობებს, მაინც მივიჩნიეთ, რომ პრაქტიკული პროექტი შესაძლებელია სხვა მოდულების პარალელურად დაიწყოს, მაგრამ დასრულდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ყველა დანარჩენი მოდულის სწავლის შედეგები დადასტურებული იქნება. დაწესებულებას მივეცით რეკომენდაცია, რომ **სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ სასწავლო გეგმაში შევიდეს ცვლილება, რათა მოდულის „პრაქტიკული პროექტი“ სწავლის შედეგების დადასტურება მოხდეს ყველა სხვა მოდულის დასრულების შემდეგ.**
დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიტანა ნაწილობრივი ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამაში, კერძოდ დაამტკიცა დაკორექტებული სასწავლო გეგმა (ბრძანება №318, 31.10.2018წ.) (დანართი 2)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ინტერვიუ პრაქტიკის ობიექტებად გათვალისწინებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. თუმცა, გარდა ამისა ძალიან ბევრი ინფორმაციაა ისეთი, რომელიც დაწესებულების შესახებ ისტორიაში განსათავსებლად უფრო გამოდგება ვიდრე კატალოგში, რადგან ამ ინფორმაციით კატალოგი დიდი მოცულობისაა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციები (მით უფრო მოდულურების შესახებ) ისეა გაბნეული კატალოგში, რომ მათი მოძებნა ჭირს. ამავე დროს კატალოგს არ აქვს სარჩევი, რაც ასევე ართულებს ინფორმაციის მოძიებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{ქალაქი, წელი}

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ვებ გვერდზე ინფორმაცია იმ პროგრამის შესახებ, რომლის დამატებაც სურს დაწესებულებას, თუნდაც ანონსის სახით არ არის წარმოდგენილი.

სასურველია ინფორმაცია იმ პროგრამის შესახებ, რომლის დამატებაც სურს დაწესებულებას, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ მისანიჭებელი კვალიფიკაციის, მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, ანონსის სახით განთავსდეს კატალოგში და დაწესებულების ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018 წლის კატალოგი;
- დაწესებულების ვებ გვერდი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეული

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში“ (კოდი 010465) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მითითებულ კვალიფიკაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის წესები ნაწილობრივ წარმოდგენილია ვებ გვერდზე განთავსებულ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია" შინაგანაწესში, რომელიც დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,იბერია" წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, კოლეჯის „იბერია" სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N 2, 23.02.2018წ.). დოკუმენტში გაწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის შესახებ ჩანაწერები, მაგრამ არ ჩანს მიღებული განათლების აღიარების შესახებ ჩანაწერი. დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის #106 ბრძანებით (27.04.2018წ). აღნიშნული წესი 8 მუხლისგან შედგება და მასში სრულყოფილადაა აღწერილი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 2), შეჩერების (მუხლი 3) და შეწყვეტის (მუხლი4), მობილობის (მუხლი5), ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

სასურველია, დაწესებულებამ შინაგანაწესიდან ამოიღოს ჩანაწერები სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის შესახებ, რადგან ეს ინფორმაცია გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებიც გაწერილია სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლიც დამტკიცებულია დირექტორის #106 ბრძანებით (27.04.2018წ). ამ მექანიზმების უზრუნველსაყოფად კოლეჯს პროგრამის განხორციელების ვადით, გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან:

- სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ - 29 ოქტომბერი 2018წ.;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ - 29 ოქტომბერი 2018 წელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი (27 აპრილი 2018წელი, ბრძანება # 102) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი (ბრძანება #103, 27 აპრილი 2018წ.), ამავე დროს დაწესებულებაში შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი, კვება“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელდება ქ. ქუთაისში, ნიკეას #15 - ში მდებარე შენობაში, რომელიც კოლეჯისათვის სახელმწიფოს მიერ არის გადმოცემული. შენობის საერთო ფართი შეადგენს 2268.73 კვ. მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N 15	1319.00 / 2268.73

დასტურდება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ფაქტობრივი მდგომარეობა.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამისთვის გამოყოფილია აუდიტორიები შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით, სასწავლო გარემოში არის მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისათვის, კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი.

A ტიპის სასწავლო გარემოსათვის განკუთვნილია სამი აუდიტორია.

პირველი და მეორე აუდიტორია არის 15 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის, ხოლო მესამე 20 ადგილი პროფესიული სტუდენტებისათვის.

რაც შეეხება B ტიპის სასწავლო გარემოს აუდიტორიას ვიზიტის დროს შემოწმდა ერთი B ტიპის აუდიტორია 15 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის.აუდიტორია აღჭურვილია თითოეულ პროფესიულ სტუდენტისა და მოდულის განმახორციელებლისათვის განკუთვნილი პერსონალური კომპიუტერით, მაგიდითა და სკამით; აუდიტორიაში არის დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, პრინტერი-კომბაინი.

კოლეჯის აუდიტორიებიდან და მატერუალურ ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც განსაზღვრულია 15 სტუდენტით, ერთია დაწესებულებაში. ვიზიტის დროს შემოწმდა საჭირო აღჭურვილობა პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, C ტიპის სასწავლო გარემო ამ ეტაპისთვის აღჭურვილია 80 %-ით, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ - მოდულის მიხედვით მოთხოვნილი შესაბამისი აღჭურვილობით. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოგვიდგინა პარტნიორი ორგანიზაციიდან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან დროულად ვერ მოხერხდა გარკვეული ტექნიკის (ელექტრო გაზქურები, ელექტრო ღუმელები და ა.შ.) მოწოდება და კომპანია ითხოვს დამატებით 10 სამუშაო დღეს, შეკვეთის სრული სახით ჩაბარებისათვის.

(იხ. დანართი 3 წერილი კომპანიიდან).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის დოკუმენტებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შექმნილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება უწყვეტად, აუდიტორიები ნათდება ბუნებრივად, ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე, გამიჯნულია, მოპირკეთებულია და აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;
- გათბობის საშუალებების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“ - ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ხელშეკრულება N‹-14/0230-ით (16.03.2017).

შეფასება:
☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას მისამართზე ნიკეას ქ. № 12 განთავსებული აქვს საბიბლიოთეკო სივრცე სათანადოდ დაცული წიგნადი ფონდით, სულ 7204 ერთეული. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია კატალოგში. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 2 კომპიუტერი, მაგრამ არ დგას პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები, გამოყოფილია ადგილები მკითხველთათვის, კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარი. „ბიბლიოთეკის მუშაობის პროცედურები“ გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკის დებულება და საბიბლიოთეკო ფონდითა და საბიბლიოთეკო დარბაზით სარგებლობის წესი გაწერილია და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29.06 N148 ბრძანებით.

ექსპერტთა მიერ, საგანმანათლებლო პროგრამიდან შერჩევითად გადამოწმებული იქნა სასწავლო რესურსი, რომელიც მითითებულია მოდულებში - ,,საკვები პროდუქტების ტექნოლოგია'', ,,ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის შესავალი'', ,,ინფორმაციული წიგნიერება1“ . სასწავლო რესურსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა მატერიალური სახით სრულად არის წარმოდგენილი ბიბლიოთეკის ფონდში, მაგრამ მოდულებში მითითებული ელექტრონული ინტერნეტ რესურსები არ არის გადატანილი ელ დისკებზე.

<u>ვინაიდან საბიბლიოთეკო სივრცე განთავსებულია მხოლოდ ნიკეას ქ.№ 12-ში, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს ნიკეას ქ.№ 15-ში განთავსებულ კორპუსში, ამიტომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის განხორციელების მისამართზე საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობის შესახებ, ამავე დროს სასურველია სასწავლო კორპუსში ბიბლიოთეკის სივრცის მოწყობის დროს გაითვალისწინონ სამკითხველო დარბაზი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, კომბაინი პრინტერის ასლის გადაღების და სკანერის ფუნქციებით, ელექტრონული კატალოგი და ინტერნეტ რესურსები ელ დისკებზე გადატანილი და ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი - ბიბლიოთეკარი.</u>

სასურველია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების მისამართზე მოაწყოს საბიბლიოთეკო სივრცე, დანერგოს ელექტრონული კატალოგი და ლინკების სახით მითითებული ინტერნეტ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

რესურსები გადაიტანოს ელ დისკებზე, ასევე გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი - ბიბლიოთეკარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საბიბლიოთეკო რესურსების ვიზუალური დათვალიერებით;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის №142 ბრძანებით მუხლი 23);
- ბიბლიოთეკის დებულება(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის №148 ბრძანებით);
- საბიბლიოთეკო ფონდითა და საბიბლიოთეკო დარბაზით სარგებლობის წესი(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის №148 ბრძანებით);
- სასწავლო კურსის მოდულები;
- ბიბლიოთეკის წიგნების აღრიცხვის კატალოგი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს მუდმივი ინტერნეტი, შიდა ქსელი და უკაბელო შიდა ქსელი (WiFi). ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით (პერსონალური და პორტატული კომპიუტერებით, პრინტერებით). კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი (http://www.iberias.ge/)

სასწავლებელი კულინარიის ხელოვნების პროგრამის განხორციელებისათვის ფლობს 19 კომპიუტერს (მათ შორის 3 ლეპტოპი და მონიტორი). კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. ფუნქციონირებს ერთი კომპიუტერული კაბინეტი.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტთან“;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის №142 ბრძანებით მუხლი 12-მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის კოორდინატორი);
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 3 აპრილის #96 ბრძანებით დამტკიცებული საქმის წარმოების წესის შესაბამისად. აქტების აღრიცხვა ხდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში და ასევე დაწესებულება აწარმოებს საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამას “eflow”-ს.

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{ქალაქი, წელი}

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში თანამდებობრივი ინსტრუქციის (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის №142 ბრძანებით მუხლი 26- 30- 34) გადაწყვეტილებით განსაზღვრულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის, კოლეჯის სარგებლობაში არსებული ქონების, სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასა და საგანგებო სიტუაციების მართვაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები და არსებობს შესაბამისი ინვენტარი. კოლეჯის კორპუსის, რომელიც მდებარეობს ნიკეას ქ.#15-ში, ყველა სართულზე თვალსაჩინოდ დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, მისი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური აღწერით. ცეცხლმაქრები და სახანძრო ჰიდრანტები განთავსებულია არსებული ინსტრუქციის შესაბამისად. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას, ყველა სართულზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის ინსტრუქცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, გამოკრულია საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ტელეფონების ნომრების სია, ასევე თამბაქოს მოწევის ამკრძალავი ნიშნები (2016 წლის 29.06 N145 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები''), კოლეჯის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დამტკიცებულია შესაბამისი ინსტრუქცია, კოლეჯში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე .სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და აპარატურით. ინფორმაცია სამედიცინო კაბინეტის მდებარეობის, მუშაობის განრიგისა და საკონტაქტო ტელეფონის თაობაზე გამოკრულია სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილას (2016 წლის 29.06 N139 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“), მედდასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. საზოგადოებრივი წესრიგის და მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით, კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა. 24 საათის განმავლობაში მატერიალურ ფასეულობას და საზოგადოებრივ წესრიგს იცავს კოლეჯის დაცვის თანამშრომელი-დარაჯი, რომლის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია ინსტრუქციის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29.06 N136 ბრძანებით ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი'') შესაბამისად.

შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მედდასთან, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერთან, დაცვის სამსახურის თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- სამედიცინო აპარატურისა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესით (დირექტორის მიერ 2016 წლის 29.06 N136 ბრძანებით დამტკიცებული)
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით(დირექტორის მიერ 2016 წლის 29.06 N139 ბრძანებით დამტკიცებული)
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით(დირექტორის მიერ 2016 წლის 29.06 N145 ბრძანებით დამტკიცებული)
- თანამდებობრივი ინსტრუქციით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2016 წ. 29 ივნისის №142 ბრძანებით მუხლი 26- 30- 34).
- დოკუმენტაციით ვიდეო სამეთვალყურეო აპარატურის შესყიდვის და მონტაჟის შესახებ

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართზე განთავსებული კორპუსი, რომელშიც სასწავლო (A,B,C გარემოები) ფართების გარდა განთავსებულია პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულების მთავარ შემოსასვლელთან განთავსებულია ლიფტი, რომელიც ასევე სრულადაა ადაპტირებული სსსმ პირთათვის, ასევე ადაპტირებულია ყველა სართულზე გამოყოფილი სასწავლო აუდიტორიები და სველი წერტილები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

- თანამდებობრივი ინსტრუქციით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით -სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები. ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალის შესახებ. <u>მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, მაინც არის ინფორმაცია, რომელიც ვებ გვერდზე არ არის განთავსებული ან ძნელად იძებნება. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ კოლეჯი აპირებს განაახლოს ვებ გვერდი, რათა გაიზარდოს მისი, როგორც საკომუნიკაციო ასევე საინფორმაციო ფუნქციები და დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.</u>

სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს ვებ გვერდის ცვლილება-განახლება, რათა გაიზარდოს მისი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციები

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (2013-2019წ.წ.) სტრატეგიული და ერთწლიანი (2018-2019სასწ.წლის) სამოქმედო გეგმები, თუმცა დაწესებულების ვებ გვერდზე განვითარების გრძელვადიან გეგმასთან ერთად განთავსებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2017 წლისაა. (ერთ-ერთი მიზეზი რატომაც უნდა განახლდეს ვებ-გვერდი).

გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა მიმოიხილავს კოლეჯის გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის ძირითად პრინციპებს. ის მოიცავს ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვას, კოლეჯის მისიას, სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგიას, გამოყენებულ ინსტრუმენტებს, SWOT - ანალიზს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეყრდნობა და გამომდინარეობს კოლეჯის ექვსწლიანი სტრატეგიული განვიარების გეგმიდან და მასში გამოკვეთს იმ მიზნებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელთა შესრულებაც ან მათზე მუშაობის დაწყება შესაძლებელია 2018-19 სასწავლო წლის პერიოდში. გეგმა ითვალისწინებს კონკრეული აქტივობების აღწერას, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის(ების) იდენტიფიკაციასა ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს.

ვინაიდან გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის მოქმედების ვადა იწურება 2019 წლის 1 იანვარს, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების სფეროს ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის საფუძველზე შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმა, რომელშიც მონიტორინგის მექანიზმებიც იქნება ასახული.

სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და მონიტორინგის მექანიზმების გათვალისწინებით, შეიმუშაოს ახალი სტრატეგიული გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (2013-2019წ.წ.) სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი (2018-2019სასწ.წლის) სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და მათი შესაბამისობა მოქმედ რეგულაციებთან.
საზოგადოებრივი კოლეჯის "იბერია" დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის #140 ბრძანებით დამტკიცებულია საშტატო განრიგი, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალის და პროფესიული მასწავლებელთა სამსახურეობრივი მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლებები და პასუხისმგებლობა.
გადამოწმებული იქნა თითოეულის პირადი საქმე, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებრივი კოლეჯის "იბერია" დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის #140 ბრძანებით;
- კოლეჯში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება" წარმოდგენილი ჰყავს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა შეადგენს 90-ს. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა 90/9=10.
მოდულური პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს აქვს საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების გამოცდილება. რამდენიმე მათგანი მონაწილეობდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}

მოდულური პროგრამების შემუშავებაში. თუმცა მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განსახორციელებლად, დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება. კერძოდ, კალენდარული გეგმების და მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დასადასტურებლად შეფასების ინსტრუმენრების შემუშავებაში.

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაწესებულებამ განახორციელოს პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება მოდულური პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის “იბერია” - ის მიერ მასწავლებლის შერჩევა და დანიშვნა ხორცილედება საქათველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესისა და „საზოგადოებრივი კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში (დაწესებულების დირექტორის ბრძანება N140, 29 ივნისი 2016 წელი), გაწერილი წესის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე და ძირითადი ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების დირექტორის ბრძანება N140, 29 ივნისი 2016 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{ქალაქი, წელი}

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათალისწინებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ნაცვლად დაწესებულების მოთხოვნილი 90-ისა, განისაზღვროს 30 - ით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	კულინარიის ხელოვნება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში-010465	80	95	ქართული	ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ.№15	-	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2გვ.;
2. დაკორექტირებული სასწავლო გეგმა - 3გვ.;
3.წერილი შესყიდული მატერიალური რესურსების მოწოდების ვადების დარღვევასთან დაკავშირებით გადავადების მოთხოვნით - 1გვ.

სულ დანართი - 6 გვ.

14.11.2018წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}